

ერთის მხრივ შპს „სუპერ ტვ“, შემდგომში მოხსენებული როგორც „კომპანია“ და მეორეს მხრივ

ფიზიკური პირი – სახელი, გვარი ..... ტელეფონი ..... ელ. ფოსტა .....

პირადი N ..... რეგისტრაციის ადგილი .....

იურიდიული პირი – დასახელება ..... ს/კ .....

დირექტორი/წარმომადგენელი ..... ტელეფონი ..... ელ. ფოსტა .....

იურიდიული მისამართი .....

შემდგომში „აბონენტი“, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „კომპანია“ ახორციელებს „აბონენტისათვის“ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას, რაც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით.

1.2 მომსახურების მიწოდების ადგილი: .....  
აბონენტის მიერ მომსახურების მიწოდებისადგილის მისამართის თვითნებურად შეცვლა დაუშვებელია.

1.3 მხარეები თანხმდებიან, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან/და მისი შემადგენლობა, რის შესახებ ვალდებულია შეატყობინოს „აბონენტს“ ცვლილებამდე 10 (ათი) დღით ადრე.

**2. მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოწყობილობანი**

2.1 ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „აბონენტი“ იმავდროულად გამოთქვამს თანხმობას მასზე, რომ „კომპანიამ“ მომსახურების მიწოდების მიზნით ყველა აუცილებელი და საჭირო მოწყობილობა 10 (ათი) დღის განმავლობაში დაამონტაჟოს (განათავსოს) „აბონენტის“ მართლწოდებულ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე ან/და შენობის ყველა იმ ნაწილზე (შენობის კედელი, სადარბაზო, სხვანი და სხვა), რომელიც აუცილებელია „აბონენტისათვის“ მომსახურების მისაწოდებლად. იმ შემთხვევაში თუ „აბონენტის“ უფლება სრულად არ ვრცელდება უძრავ ქონებაზე, მაშინ „აბონენტის“ მიერ გამოთქმული თანხმობა ვრცელდება უძრავ ქონებაში არსებულ მის წილზე.

2.2 მომსახურების მიწოდების მიზნით ყოველი ახალი აბონენტი „კომპანიასთან“ ახორციელებს დანართი №1 შესაბამისად ანგარიშსწორებას, რაც გულისხმობს მომსახურების ღირებულებისა და საავანსო გადასახადის გადახდას. კომპანია მას ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დროებით სარგებლობაში გადასცემს შემდეგ ტექნიკურ მოწყობილობებს: 1 (ერთი) ერთეული რესივერის კომპლექტი (ყოველ მთხოვნილ სატელევიზიო წერტილზე) , 1 (ერთი) ერთეული დამუშავების ბარათი (ყოველ მთხოვნილ სატელევიზიო წერტილზე) და საჭიროების შემთხვევაში 1(ერთი) ერთეული მიმღები ანტენა (შემდგომში „მოწყობილობები“).

2.3 იმ შემთხვევაში თუ „კომპანია“ „აბონენტს“ ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე უწევს საკაბელო ქსელით მომსახურებას და მას „კომპანიის“ სასარგებლოდ არ ერიცხება დავალიანება, კომპანია მას ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დროებით სარგებლობაში გადასცემს შემდეგ ტექნიკურ მოწყობილობებს: 1 (ერთი) ერთეული რესივერის კომპლექტი (ყოველ სატელევიზიო წერტილზე) , 1 (ერთი) ერთეული დამუშავების ბარათი (ყოველ სატელევიზიო წერტილზე) და საჭიროების შემთხვევაში 1(ერთი) ერთეული მიმღები ანტენა (შემდგომში „მოწყობილობები“). ყველა სხვა შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია დაფაროს მასზე დარიცხული დავალიანება და გადაიხადოს საავანსო თანხა.

2.4 ერთი და იგივე მისამართზე ყოველ მომდევნო დამატებით წერტილზე მომსახურების მიწოდების მიზნით, მოქმედ აბონენტს „მოწყობილობები“ გადაეცემა ასევე დროებით სარგებლობაში და „აბონენტი“ ქსელში ჩართვის ერთჯერად ღირებულებასა და მომსახურების ღირებულების საავანსო გადასახადს გადაიხდის დანართი №1 - ში განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

2.5 მხარეები თანხმდებიან, რომ „მოწყობილობა“ წარმოადგენს „კომპანიის“ საკუთრებას და „აბონენტს“ გადაეცემა დროებით სარგებლობაში.

2.6 მოწყობილობების შეფუთვა, კომპლექტაციის დაკულობა და მისი გამართულად მუშაობის შემოწმება ხორციელდება ადგილზე, უშუალოდ აბონენტთან. მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევისას დამფარო შედეგებზე, შექანიკური დაზიანების დროს დამფარო გარე ან შიდა დაზიანებებზე, იმ შემადგენელ ნაწილებზე, რომელზეც აღინიშნება მექანიკური ზემოქმედების ნიშნები და მოწყობილობის კომპლექტაციის დარღვევის ყველა შემთხვევაზე (პროგრამული უზრუნველყოფა, შემართებული კაბელი, სამაგრები და ქარხნული იერსახისთვის დამახასიათებელი ნიშნებზე ზემოქმედება და სხვა) „კომპანია“ არ აგებს პასუხს. მოწყობილობების სრული ან ნაწილობრივი დაზიანების, განადგურების შემთხვევაში მათი გამოცვლა ხდება „კომპანიის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად „აბონენტის“ ხარჯებით. მოწყობილობის ან მისი კომპლექტაციის შემადგენელი ნაწილის შეცვლა ხორციელდება მხოლოდ ქვითრის, ყუთის, დოკუმენტაციის და იმ ყველა აუქსუარის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც დაფიქსირდა მისი გადაცემის მომენტში.

2.7 „მოწყობილობების“ მონტაჟის ან დემონტაჟის შემთხვევაში, აბონენტთან ფორმდება შესაბამისი სამუშაოს შესრულების ორდერი. მონტაჟის შემთხვევაში ორდერი ადასტურებს „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ „მოწყობილობების“ გამართულ მდგომარეობაში გადაცემის, მისი წარმატებით ინსტალაციის და „აბონენტისათვის“ სათანადო ინსტრუქტაჟის ჩატარების ფაქტს. დემონტაჟის შემთხვევაში – „მოწყობილობების“ „აბონენტის“ მიერ „კომპანიისათვის“ უკან დაბრუნების ფაქტს. დემონტაჟის ორდერი დგება მხოლოდ იმ „აბონენტებთან“, რომლებსაც დროებით სარგებლობაში გადაეცა „მოწყობილობები“, ორდერის შედგენისას „კომპანიის“ თანამშრომელი ამოწმებს „მოწყობილობების“ ტექნიკურ მდგომარეობას და თუ გამოვლინდება, რომ „მოწყობილობები“ მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებულია, დაკარგულია ან განადგურებულია, „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ აუნაზღაუროს „მოწყობილობების“ ღირებულება დანართი №1 –ით განსაზღვრული ტარიფებით.

**3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის**

3.1 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებისათვის „აბონენტი“ „კომპანიის“ სასარგებლოდ იხდის მომსახურების გადასახადს, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დანართი №1–ით და დამოკიდებულია „აბონენტის“ მიერ არჩეული მომსახურების პაკეტის სახეზე:

პაკეტი: აიტი  ივერია  სპორტი  კინო  პრემიუმ კინო  ჰობი&გართობა  შემეცნებითი  18+

ამ ხელშეკრულების გაფორმებისას „აბონენტის“ მიერ გააქტიურებულ იქნა შემდეგი ბარათები:

ბარათის ნომერი 614 ..... ბარათის ნომერი 614 ..... ბარათის ნომერი 614 .....  
ბარათის ნომერი 614 ..... ბარათის ნომერი 614 ..... ბარათის ნომერი 614 .....  
ბარათის ნომერი 614 ..... ბარათის ნომერი 614 ..... ბარათის ნომერი 614 .....  
ბარათის ნომერი 614 ..... ბარათის ნომერი 614 ..... ბარათის ნომერი 614 .....

3.2 ფიზიკურ პირათვის, მომსახურების გადასახადი დაფუძნებულია გადახდის საავანსო პრინციპზე, რაც გულისხმობს მომსახურების ღირებულების წინასწარ გადახდას, მომსახურების მისთვის სასურველი დღითა და რაოდენობის ექვივალენტური ფულადი თანხის „კომპანიის“ კუთვნილ ანგარიშზე შეტანის გზით (ბალანსი), რა პერიოდითაც (კალენდარული დღეების რაოდენობის შესაბამისად) განისაზღვრება „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მომსახურების მიწოდების ხანგძლივობა. ანგარიშზე თანხის (ბალანსის) ამოწურვის შემთხვევაში მომსახურების მიწოდება წყდება. ანგარიში არის „კომპანიის“ მონაცემთა ბაზაში „აბონენტისთვის“ მინიჭებული გახსნილი, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც აისახება „აბონენტის“ მიერ გადახდილი თანხების მობრუნება და მისი სააბონენტო ისტორია.

3.3. იურიდიული პირათვის, სააბონენტო მომსახურების გადასახადის გადახდა განხორციელდება გაწეული მომსახურების პროპორციულად, წარდგენილი ინვოისისა და ანგარიშგაქტურის შესაბამისად.

3.4 მომსახურების გადასახადის ჩამოჭრა საავანსო თანხიდან ხორციელდება ყოველი კონკრეტული კალენდარული დღის მიხედვით „აბონენტის“ მიერ არჩეული მომსახურების პაკეტ(ებ)ის ღირებულების შესაბამისად. მომსახურების პაკეტ(ებ)ის პირველი ჩართვისას , ან გათიშული პაკეტ(ებ)ის ხელახალი გააქტიურების დროს - აბონენტი იხდის პაკეტ(ებ)ის 30 კალენდარული დღის ჯამურ საავანსო თანხას, რომლის ჩამოჭრა მიხედვება პაკეტ(ებ)ის ჩართვისთანავე 30 კალენდარული დღის ოდენობით. მომსახურების ღირებულებისა და პირველი საავანსო გადასახადიდან „აბონენტისათვის“ თანხის რაიმე ფორმით უკან დაბრუნება არ დაიშვება.

3.5 „აბონენტ“ უფლებამოსილია შეცვალოს მომსახურების პაკეტი, დაამატოს ან გააუქმოს მისთვის სასურველი დამატებითი თემატური პაკეტი, რისთვისაც ვალდებულია დარეგოს „კომპანიის“ ცხელ ხაზზე, ტელ.: 2901011 , 2186888, დასახელოს ხელშეკრულების ნომერი, მისი სახელი, ვაგრი, პირადი ნომერი და სასურველი პაკეტის დასახელება. აბონენტის ზარი იწერება და ინახება არქივში 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. მომსახურების პაკეტის შეცვლა „კომპანიის“ მიერ ხორციელდება მომდევნო კალენდარული დღიდან „აბონენტის“ ანგარიშზე საკმარისი დეპოზიტის არსებობისას.

3.6 „აბონენტის“ ბალანზე თანხის ამოწურვის, ან მომსახურების დროებითი შეჩერების შემთხვევაში, აბონენტს ერეცხება მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი 0.10 ლარის ოდენობით 1 (ერთ) კალენდარულ დღეზე ყოველ 1 (ერთ) სააბონენტო წერტილზე. მომსახურების დროებითი შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ პაკეტ(ებ)ის პირველი ჩართვიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ. აბონენტი უფლებამოსილია განახორციელოს მომსახურების დროებითი შეჩერება, თუ მოთხოვნილი მომენტისთვის აბონენტის ანგარიშზე ირეცხება დადებითი ბალანსი. მომსახურების დროებითი შეჩერება შესაძლებელია, შეჩერების მოთხოვნილი თარიღიდან არაუმეტეს 50 კალენდარული დღისა. რის შემდგომ, თუ აბონენტის ბალანსზე ისევ არსებობს დეპოზიტური თანხა, მომსახურება ავტომატურად განახლებს დროებითი გათიშვის მომენტისთვის არსებული პაკეტის ღირებულების გათვალისწინებით. თუ აბონენტს დროებითი გათიშვის მაქსიმალური პერიოდის გამოყენების შემდეგ, ანგარიშზე არ აქვს ავტომატურად გააქტიურებისთვის საჭირო თანხის მიცემა - ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად და „აბონენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ (სამი სამუშაო დღის ვადაში) დააბრუნოს დროებითი სარეგულბოში გადაცემული მოწყობილობები და დაფაროს სრულად ამ პერიოდში დარიცხული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.7 მხარეები თანხმდებიან, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი ტარიფი, მათ შორის და არა მხოლოდ, მომსახურების გადასახადის ოდენობა, მისი გადახდის წესი და პირობები, რის შესახებ ვალდებულია 1 (ერთი) თვით ადრე შეატყობინოს „აბონენტს“.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „კომპანია“ ვალდებულია:

4.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუმონტაჟოს „აბონენტს“ „მოწყობილობები“ და ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს „აბონენტებისთვის“ ხარისხიანი მომსახურების მიწოდება.

4.1.2 „აბონენტის“ შეტყობინების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში (არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) აღმოფხვრას მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზი, გარდა იმისა, რაც გამოწვეულია „მოწყობილობების“ დაზიანებით.

4.1.3 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მომსახურის „აბონენტს“ ცხელი ხაზის მეშვეობით. ნომერი 2901011 , 2186888.

4.2 „კომპანია“ უფლებამოსილია:

4.2.1 პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისას დროებითი შეჩერებას ამ შეუზღუდოს „აბონენტს“ მომსახურების მიწოდება.

4.2.2 სამაუწყებლო, ან უფლება მფლობელი სხვა კომპანიის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, სატელევიზიო არხის ან მისი შემადგენელი ცალკეული გადაცემ(ებ)ის ჩვენების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, შეწყვიტოს მისი მიწოდება ან ჩაანაცვლოს იგი სხვა გადაცემით. მხარეები თანხმდებიან, რომ „კომპანია“ მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვილია იმ შემთხვევაშიც, თუ სატელევიზიო არხის შემადგენელი ცალკეული გადაცემ(ებ)ის ჩვენება დაუშვებელია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს აკრძალვის ან/და საავტორო და მიმოიჯნვე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გამო.

4.3 „აბონენტი“ ვალდებულია:

4.3.1 წარმოის ანგარიშსწორება „კომპანიასთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

4.3.2 შეატყობინოს „კომპანიას“ მომსახურების მიწოდებაში რაიმე შეფერხების შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შეუწყოს ხელი „კომპანიის“ თანამშრომლებს წარმოქმნილი ხარვეზის გამოსწორებაში.

4.3.3 აანაზღაურებს ცვლილას ის ხარჯი, რომელიც საკუთარი ქმედებით მიადგა „კომპანიის“ კუთვნილ „მოწყობილობებს“.

4.3.4 არ განახორციელოს „მოწყობილობების“ თვითნებური გადაადგილება, მონტაჟი ან დემონტაჟი.

4.3.5 არ განახორციელოს მომსახურების მიყიდვა ან რაიმე ფორმით გადაცემა ან მიწოდება მესამე პირებისათვის.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 „კომპანია“ პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და მასზე, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მოახდინოს მომსახურებაში არსებული შეფერხების ან ნაკლოვანებების აღმოფხვრას და ქსელის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენას.

5.2 მხარეები თანხმდებიან, რომ „აბონენტს“ ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებული „მოწყობილობების“ დაზიანებაზე ან/და განადგურებაზე „მოწყობილობის“ ღირებულება ანაზღაურდება „კომპანიაში“ დადგენილი ტარიფების შესაბამისად მათ შორის და არა მხოლოდ იმ შემთხვევაშიც თუ „მოწყობილობების“ დაზიანება ან/და განადგურება გამოწვეულია ელ. ქსელში ძაბვის ცვალებადობით.

## 6. დავის გადაწყვეტა

6.1 მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. „აბონენტს“ უფლება აქვს შესაბამისი საჩივრით მიმართოს „კომპანიას“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან სასამართლოს. „კომპანია“ დავას განიხილავს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით დადგენილი წესით 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან სასამართლოში.

6.2 „აბონენტს“ უფლება აქვს საერთო წესით პირდაპირ მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან სასამართლოს.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ, "მოწყობილობების" დემონტაჟის ორდერის შედგენის თარიღამდე. ხოლო მომსახურების მიწოდება „აბონენტებისთვის“ იწყება ბარათის აქტივაციის დღიდან და წყდება აბონენტის ანგარიშზე თანხის (ბალანსის) ამოწურვით.

7.2 „აბონენტის“ მიერ ანგარიშზე თანხის გადაუხდელობა განიხილება, როგორც მისი ცალმხრივი ნება მომსახურების მიწოდების შეწყვეტის შესახებ, რაც აბონენტს „მოწყობილობების“ დემონტაჟის ორდერის შედგენამდე არ ათავისუფლებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან. თუ აბონენტი, რომელსაც „მოწყობილობები“ „კომპანიის“ მხრიდან გადაცემული აქვთ უსასყიდლოდ, ბალანსის ამოწურვიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ განახორციელებს ანგარიშზე თანხის შეტანას, ვალდებულია „კომპანიის“ მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში სრულად დაუბრუნოს „კომპანიას“ „მოწყობილობები“ გამართულ მდგომარეობაში და სრულად გადაიხადოს მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი. „მოწყობილობები“ გამართულ მდგომარეობაში დაუბრუნებლობის შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ გადაუხადოს კომპენსაცია, „მოწყობილობების“ ღირებულების ოდენობით, „კომპანიის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად, აგრეთვე სრულად გადაიხადოს მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი.

7.3 „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ვალდებულია „აბონენტს“ შესაბამისი შეტყობინება გაუზღავნოს შეწყვეტის თარიღის დადგომამდე 1 (ერთი) თვით ადრე. ასეთ შემთხვევაში „კომპანია“ ვალდებულია დაუბრუნოს „აბონენტს“ ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## 8. ზოგადი დებულებები

8.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირებული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2 „კომპანია“ უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის შეტყობინება „აბონენტს“ მისი არჩევით გაუზღავნოს ამ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ რომელიმე მისამართზე: ტელეფონის ნომერზე, ელექტრონულ ფოსტაზე, რეგისტრაციის ადგილზე, ან მომსახურების მიწოდების ადგილზე. მათი შეცვლის შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „კომპანიას“ აღნიშნულის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ჩაიბრუნდება და არა დაეფიქსირება.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ორიდროული ძალის მქონე 2 (ორი) ოთხ გვერდიან ეგზემპლარად დანართი №1ს ჩათვლით, რომელგანაც ერთი გადაეცემა „აბონენტს“, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება „კომპანიას“.

## შპს „სუპერ ტვ“

ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, კარტვახრიკის მიმდებარედ.  
საიდენტიფიკაციო კოდი: 400015201 ტელ.: 2901011 , 2186888 ფაქსი: 2923777  
სს „კორსტანდარტბანკი“ KSBGGE2 ა/ს GE12KS000000004193717

## „აბონენტი“

.....

.....

**ტარიფები**

დანართით განსაზღვრული ტარიფები მოქმედებს აბონენტთან გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესაბამისად და მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

**მონტაჟის ღირებულება:**

- ციფრული სისტემის საკაბელო ქსელში მონტაჟის ღირებულება ყოველ ერთ სააბონენტო წერტილზე – ფიზიკური პირი – 00.0000 ლარი
- ციფრული სისტემის ინდივიდუალური მონტაჟის ღირებულება პირველ სააბონენტო წერტილზე – ფიზიკური პირი – 50.0000 ლარი
- ციფრული სისტემის ინდივიდუალური მონტაჟის ღირებულება ყოველ დამატებით სააბონენტო წერტილზე – ფიზიკური პირი – 00.0000 ლარი

- ციფრული სისტემის მონტაჟის ღირებულება პირველ სააბონენტო წერტილზე – იურიდიული პირი – 50.0000 ლარი
- ციფრული სისტემის მონტაჟის ღირებულება ყოველ დამატებით სააბონენტო წერტილზე – იურიდიული პირი – 25.0000 ლარი

**მომსახურების პაკეტები :**

- საბაზისო პაკეტს ეწოდება „აიეტი“, რომელიც ჩართვისთანავე ავტომატურად აქტიურდება აბონენტის ყოველ სააბონენტო წერტილზე .
  - ბრათ(ებ)ის პირველადი გააქტიურებიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ, აბონენტს ეძლევა შესაძლებლობა საბაზისო პაკეტი - „აიეტი“ ს აუცილებელი გააქტიურების გარეშე, გააქტიუროს მხოლოდ მომსახურების პაკეტი „ივერია“.
  - ყოველ სააბონენტო წერტილზე, სხვა დამატებითი, თუ თემატური პაკეტ(ებ)ის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს გააქტიურებული აქვს მომსახურების პაკეტი „აიეტი“ !
  - „აბონენტის“ მიერ არჩეული პაკეტ(ებ)ი, გარდა „18+“ თემატური პაკეტისა, ავტომატურად აქტიურდება „აბონენტის“ ყოველ სააბონენტო წერტილზე .
  - „აბონენტის“ მიერ არჩეული პაკეტ(ებ)ი, გარდა „18+“ თემატური პაკეტისა, ფიზიკურ პირთათვის პირველ სააბონენტო წერტილზე, ხოლო იურიდიულ პირთათვის ყოველ სააბონენტო წერტილზე გააქტიურდება შემდეგი ღირებულებით:
- მომსახურების საბაზისო პაკეტი „აიეტი“ 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.5000 ლარი.
  - თემატური პაკეტი „სპორტი“ 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.2500 ლარი.
  - თემატური პაკეტი „პრემიუმ კინო“ 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.2500 ლარი.
  - თემატური პაკეტი „კინო“ 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.1000 ლარი.
  - თემატური პაკეტი „შემეცნებითი“ 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.1000 ლარი.
  - თემატური პაკეტი „ჰობი & გართობა“ 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.1000 ლარი.
  - მომსახურების პაკეტი „ივერია“ 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.4000 ლარი.
  - „აბონენტის“ მიერ არჩეული პაკეტ(ებ)ი, გარდა „18+“ თემატური პაკეტისა, მხოლოდ ფიზიკურ პირთათვის, ყოველ დამატებით სააბონენტო წერტილზე გააქტიურდება შემდეგი ღირებულებით: 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.2000 ლარი.
  - საბაზისო მომსახურების პაკეტის („აიეტი“) აუცილებელ გააქტიურებასთან ერთად, რაც ცალკე, თავისი ღირებულებით წარმოდგენილია, შემდეგი თემატური პაკეტის არჩევისას, არჩეული პაკეტი ინდივიდუალურად აქტიურდება აბონენტის ყოველ სააბონენტო წერტილზე დამატებითი ღირებულებით:
  - თემატური პაკეტი „18+“ 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.4000 ლარი.
  - სააბონენტო წერტილზე მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადის 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება – 0.1000 ლარი.

**შენიშვნა:** მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი ერიცხება იმ შემთხვევაში, თუ „აბონენტს“ ამოწურული აქვს საავანსო გადასახადი და „კომპანიის“ მხრიდან გათიშული აქვს მომსახურების მიწოდება, ან „აბონენტს“, თავისი სურვილით დროებით შეჩერებული აქვს „კომპანიის“ მომსახურების ყველა პაკეტი.

**საავანსო გადასახადი:**

- ყოველ ახალ სააბონენტო წერტილზე მონტაჟის ღირებულებასთან ერთად „აბონენტი“ იხდის საავანსო თანხას, მინიმუმ იმ ოდენობით, რაც საჭიროა მის მიერ ამორჩეული პაკეტების 30 კალენდარული დღით გააქტიურებისთვის.

**„მოწყობილობების“ ღირებულება:**

- 1 (ერთი) ერთეული ციფრული სიგნალის მიმღები ანტენა – 50.0000 ლარი
- 1 (ერთი) ერთეული რესივერი – 55.0000 ლარი
- 1 (ერთი) ერთეული რესივერის მართვის პულტი – 10.0000 ლარი
- 1 (ერთი) ერთეული რესივერის A/V (აუდიო/ვიდეო) კაბელი – 5.0000 ლარი
- 1 (ერთი) ერთეული რესივერის სააბონენტო ( ელექტრონული) ბრათი – 10.0000 ლარი

დანართით განსაზღვრული ტარიფები მოცემულია მხოლოდ ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის და მასში ცვლილებების შეტანა ხდება ხელშეკრულების შესაბამისად.

დანართით განსაზღვრული ტარიფები შესაძლოა განსხვავებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ატარებს ფასდაკლების ან სხვა სახის დროებით აქციას და რის შესახებ გაფრთხილებულია როგორც „აბონენტი“, ისე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

## არხების ჩამონათვალი

მომსახურების პაკეტი - "აიტი" - 100 არხი

ზოგადი (23)		კინო (15)	Eurosport 2	შემცენებითი (17)	მუსიკა (9)	გასართობი (6)
I არხი	UA TV	TV 1000 Action	Silk Universal	Da Vinci Learning	Bridge TV	THT
აჭარა	ТВ Центр	Иллюзион+	Авто 24	Animal Planet	RU TV	THT Comedy
ერთსულოვნება	Дождь	Ретро	Вокс ТВ	CBS Reality	Муз ТВ	Домашний
კავკასია	РТР Планета	Феникс плюс кино	Русский Экстрим	Discovery Science	Mezzo	Перец
ობიექტივი	ЦТВ	Sony Sci-Fi	რაგბი ტვ	DTX	Music Box	Food TV Geo
Palitra news		Sony SET	<b>ჰობი (11)</b>	Viasat History	Trace Urban	TB3
II არხი		Sony Turbo	CTC	Discovery Channel	Ля Минор	<b>საინფორმაციო (4)</b>
პირველი		TV 1000	TLC	Viasat Explorer	VINYL TV	Euronews
იბერია TV		TV 1000 Русское Кино	Драйв	Viasat Nature	ЖАРА	CNN
Starvision		Zee TV	Усадьба ТВ	Зоопарк	<b>საბავშვო (7)</b>	BBC
PEH TB		Еврокино	Fashion one	Психология 21	Boomerang	Russia Today
HTB Мир		Русский Иллюзион	Fine Living	Россия Культура	Jim Jam	
Орт		TV 21	Food Network	არტ-არეა	Мульт	
Настоящее Время		Нст	Оружие	ქართული არხი	Cartoon Network	
C1		CINEMA	Охота и Рыбалка	ხარისხის არხი	Детский	
DW		<b>სპორტი (8)</b>	Пятница	საფერავი ტვ	ენკიბენკი	
France 24		Eurosport News	Кухня ТВ	პულსი	ბასტი-ბუბუ	
Ictimai TV		Eurosport				

მომსახურების პაკეტი - "ივერია" - 20 არხი

ზოგადი (10)		შემცენებითი (5)	გასართობი (1)	საბავშვო (2)	მუსიკა (2)
I არხი	იბერია TV	არტ-არეა	Food TV Geo	ენკიბენკი	Music Box
აჭარა	Palitra news	ქართული არხი		ბასტი-ბუბუ	VINYL TV
ერთსულოვნება	ობიექტივი	ხარისხის არხი			
პირველი	II არხი	საფერავი ტვ			
კავკასია	StarVision	პულსი			

თემატური პაკეტები

"სპორტი"	"კინო"	"პრემიუმ კინო"	"შემცენებითი"	"ჰობი & გართობა"	"18 +"
<b>8 არხი</b>	<b>11 არხი</b>	<b>8 არხი</b>	<b>7 არხი</b>	<b>2 არხი</b>	<b>1 არხი</b>
Viasat sport	Amedia I	Amedia Premium HD	Discovery ID Xtra	Авто Плюс	Русская ночь
HTB + Наш Футбол	Amedia II	Amedia Hit HD	English Club	Сарафан	
Матч! Планета	Индия ТВ	TV1000HD Premium	Домашние Животные		
Extreme Sport	Киносерия	TV1000HD Megahit	Здоровое ТВ		
КХЛ	Мужское Кино	TV1000HD Comedy TV	24 Техно		
Silk სპორტი HD 1	КИНОМИКС	Silk კინო კოლექცია	ДОКТОР		
Silk სპორტი HD 2	КИНОСЕМЬЯ	Silk კინო ჰოლიუდი	365 Дней ТВ		
Silk სპორტი HD 3	КИНОХИТ	Silk კიდის			
	КИНОСВИДАНИЕ				
	НАШЕ НОВОЕ КИНО				
	КИНОКОМЕДИЯ				

არხების ჩამონათვალი მოცემულია მხოლოდ ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის და მასში ცვლილებების შეტანა ხდება ხელშეკრულების შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია არხების შესახებ განთავსებულია „კომპანიის“ ოფიციალურ ვებ გვერდზე [www.supertv.ge](http://www.supertv.ge)

**შპს „სუპერ ტვ“**

ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, კარტფაბრიკის მიმდებარედ.  
საიდენტიფიკაციო კოდი: 400015201 ტელ.: 2901011 , 2186888 , ფაქსი: 2923777

**„აბონენტი“**

.....